



ცათვისებელი სსრუბრის აღწერა

№ 33. — 1914

19 ოქტომბერი

# ბელგიის მეფე-დედოფალი



მეფე ალბერტ I



დედოფალი ელისაბედი



1. მეთაური: —ა) კერას ნუ გავაციებთ  
ბ) ვინ უნდა ააშენოს თეატრი
2. გ. ქუჩიშვილი — ლექსი: ნაცნობი
3. ივ. გომართელი — მოთხრობა: სიყვარული
4. სამ. დადიანი — წერილი: შესაფერი დრო
5. ბ. ახოსპირელი — ლექსი (ბაირიდანი) სული სწუხს!
6. ვ. ალუღიშვილი — ეძიე სული!
7. თაგუნა — ამბავი: ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს... ანუ როგორ ვითამაშე მე ფრანც შოპრის როლი
8. დავ მესხი — ქართული თეატრის დაწვის გამო
9. ლ. ცაგარელი — ხელოვნება და სქესობრივი საკითხი
10. ხალხური მწერლები: — ან. განჯის-კარელი — მაგალითები
11. ი. მჭედლიშვილი — "იორიოს ასული"
12. ქართული სახიობა — ა) L.ami — ქუთაისის ქართული დასი (ამთის ზღაპარი", ნ. შიუკაშვილისა და "ღარი-სპანის გასაქირია", დ. კლდიაშვილისა), ბ) — ნი ქართული წარმოდგენა — "უაჩალები"; გ) უსაიანო — სახალხო სახლი "მეზობლები"
13. აქაური — ნაძლადევის სახალხო თეატრი
14. იპოლიტე — პლაგი ტობა
15. წვრილი ამბები

- 1 თბილისის მოქალაქენო! მთელი რუსეთი დიდებულ დღეებს განიცდის. საქარია ძალთა მოკრეფა.
- 2 თუ ჩვენნი ძმები ბრძოლის ველზე მახვილით ხელში იცავენ სამშობლოს სახელსა და თავისუფლებას და დავუფიყარ დიდებით ამკრებენ ჩვენს ჯარს, — სახლში დარჩენილებმაც უნდა შევასრულოთ ჩვენი მოქალაქობრივი მოვალეობანი. შევეშუბუქეთ ბეწვი ომში და დარკილებს, ვანუგეშოთ ოჯახი „ხაპსებიდან“ გაწვეულებსა, გავათხოთ მათი თბლები.
- 3
- 4
- 5 მოქალაქენო! შევლა ჩვენგანს სამშობლო იწვევს მოვალეობის შესრულებისათვის და ამ უწმინდესი მოვალეობისათვის თბილისის ცენტრალური კომიტეტი აწყობს თეთრეულის კვირას.
- 6
- 7 შესწირეთ ვისცა რა შეუძლიან. თეთრეული, თბილულობა, ფესხაველი, ტანისამოსი ვაკისა, ქალისა და ბავშვისა, სულ ერთია, ახალი იქნება თუ ძველი, შესწირეთ პაპიროსები, სპიჩკები, თაბაკი, საპონი და ყოველგვარი მშრალი საწვავი: ჩაი, შაქარი და სხვა.
- 8
- 9 თქვენთან მოვლენ „სობორნიკები“, რომლებსაც უნდა ჩაბაროთ პაკეტებით ნივთები, თქვენი ნებაყოფლობით გაცემული წვლილი დიდებულ საქმისათვის.
- 10 თეთრეულობის კვირა იწყება 19 ოქტომბერს, კვირას. 19 და 20 ოქტომბერს შეაგროვებენ 1, 2, 3, 4, 5 და 6 საპოლიცია უბნებში. 7, 8, 9, 10, 11 და 12 საპოლიცია უბნებში შეაგროვებენ 21-22 ოქტომბერს.
- 11
- 12 "შორჩილესი თხოვნა—წინდაწინ მოამზადეთ შესაწირავი ნივთები და დაუყოვნებლივ გამოიტანეთ, როდესაც „სობორნიკებმა“ დაიკონ თქვენ სახლში.
- 13 ღრო ძვირფასია!
- 14 მოქალაქენო! თქვენ მუდამ იყავით გულშემატკიავარი და ერთხელ კიდევ დამტკიცეთ ეს ძვირფასი თვისება, ომიანობისაგან დაზარალებულთა შემწე კომიტეტის თავმჯდომარე ალ. ხაბისიძე.
- 15 თეთრეულის კვირის კომიტეტის
- 16 თავმჯდომარე მ. ბერბერიძე.
- 17 ბიურო კომიტეტისა—საძალაძო მართიველობა.

# ქართული წარმოდგენა

„არტისტული საზ. თეატრში“

ოთხშაბათს, 22 ოქტომბერს

ქართ. დრამ დასის მიერ ახალი მიზან-სცენებით აღ. წუწუნავას რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება

# დ ა ლ ა ტ ი

დრამა 5 მოკ. აღ. სუბმათაშვილისა თარგ ვრ. ყოფშიძისა. მონაწილეობს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ბილეთები იყიდება კასაში დასაწყისი საღამოს 8 ს.

რეჟისორი აღ. წუწუნავა

ქართ. დრამ. საზ. გამგეობა



№ 33

წლიურად 5 მ., ნაწევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ქარდრამატ. საზოგ. კანტორაში და „სორაპანს“-ის სტამბაში. მისამართი: Тифлиси, ред. „Театри да Цховреба“ ლოც. Имедავილი

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანსის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

წ. 11

№ 33

კ ვ ი რ ა 19 ლ ვ ი ნ ე მ ბ ი ს ი ვ ი

1914 წ.

### 19 ლვინობისთვის

#### კერას ნუ ვაგაციებთ.

ქართული დრამატული ხელოვნება თბილისში და მისი მსახური დასი ამ ჟამად განსაცდელშია...

დაემხო ოჯახი, ჩანელდა კერა!

და სწორედ იმ დროს, როდესაც ახალი ძალა ფრთის გაშლას აპირებდა!

ამ ახალმა ძალამ უკვე დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ შემოქმედებითი მუშაობა შეუძლიან, რომ ჩვენი სცენა განახლების გზას დაადგა, მაგრამ ..

ამ დროს ჩაეფუშა თავშესაფარი, სამხვერპლო თვისი ..

გულსაკლავია გზა კვალ ანეულ, დაობლებულ მსახიობთა აწინდელი მდგომარეობა!.. და მით უფრო ტრადიციულია მათი ხვედრი, რომ ამას ჩვენი საზოგადოება ვერა ჰკრძნობს და არც უნდა იკრძნოს..

სოფელშია-კი ვისმის თუ უტაბელი უბედურება ეწვია—თივა დაეწვა, ძნა, ანუ სახლი,—მეზობლები, მთელი სოფელი ხელს შეახმარებენ და ფეხზე დააყენებენ ხოლმე, ჩვენს დედა ქალაქში-კი, სადაც ქართველთა გონებრივი მთავარი ძარღვი სცემს, აქ რითი გასცეს პასუხი ქართულ დასს?

— სამჯერ გამართულ წარმოდგენაზე სრული გულციობით...

საკუთარ კერა მოშლილი დასი ქალაქის ერთი უბნიდან მეორეში მიმოდის, ერთი სახლიდან—სხვა სახლში, რეპეტეციებს მართავს ხან სცენაზე, მძიმე პირობებში, ხან საღმრთოებში, ხან საღ...

არა აქვს საკუთარი კუთხე, ტანისამოსი, იარაღი, დეკორაციები, ბუტაფორია...

არა აქვს ერთი ადგილი, მუდმივი ბინა, თვის ჭირ-ვაზამზე რა მოილაპარაკოს...

არა აქვს შემოსავალი, რომ უსაქიროესი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს და ამ დროს.. ჩვენი საზოგადოების „ნაღები“ ან ცხელცხელ სიტყვებით მოსთქვამს „გროვ-ნულ უბედურებას“, ან ფილოსოფიური სინდინჯით გაივლის, ვითომ და არაფერიაო ..

ახალგაზდა რეჟისორებმა ცნობილ მხატვართა დაახტვინეს სხვა და სხვა დეკორაციის, ტანისამოსების თუ ტიპების ესკიზები, მოამზადეს ყოველივე და როს აპირებდენ თავის ნაშრომის გამოჩენას, სწორედ მაშინ მიეგუ-ლათ კარი...

და არც კი ვისმის ეგულისხმება, მათი ნამუშავარი მაინც ვასინჯოს—გაუკეთებიათ რამე თუ არა?..

ასე ცივდება კერა სამშობლო სცენისა...

მართალია, თბილისში რამდენიმე დასი მუშაობს სცენის მოყვარეთა, მაგრამ ისინი ხომ... ქართულ დრამატულ დასის მაგიერობას ვერ გასწევენ ხელოვნების მხრით?

თუ ასე წავიდა საქმე, დასს ცული დღე მოელის და სამშობლო ხელოვნების ახალი გზით განვითარებაც კი ხნით შეფერხდება...

ახალი თეატრის აშენებამდის ჯერ კიდევ დრო გაცივოს და მანამ თუ ქართული თეატრის მრევლს რიგინი წარმოდგენები არ უმართეს, თანდათან გადაეჩვევა და მშობლიურ კერასაც მოსწყდება.

ამიტომ საჭიროა დასის არა მხოლოდ სიტყვი, და სახელით პატრონობა, არამედ საქმიანაც, რომ გული არ გაცივდეს, კერა არ ჩანელდეს ..

ამაზე ჰმარტებთ, ვისაც ეხება, არა თუ ფიქრი,—ზოუნვაც.

**ვინ უნდა ააშენოს თეატრი?**

ზოგი ქირი მარგველიაო, რომ უთქვამთ, სწორედ ახლა უნდა დამტკიცდეს.

ქართული თეატრის დაწვევამ ნათელჰყო, რომ იგი თუმცა სახელით თავ-აზნაურობას ეკუთვნოდა, საქმით მთელის ერის კუთვნილებას შეადგენდა. ამიტომაც არის, რომ ჩვენის ქვეყნის ყოველი წოდება, ყოველი წრე ერთნაირის მწუხარებით აღნიშნავს ამ დანაკლისს და შეძლებისდაგვარად თავის წვლილსაც სწირავს ახალი ქართული ეროვნული თეატრის ასაშენებლად..

ცეცხლმა მაყუწა, დროებით მაინც, ჩვენი წოდებრივი განსხვავება, დასური განხეთქილება.

და ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან სამშობლო ხელოვნების ტაძარი ყველასთვის ერთნაირად ძვირფასია... თეატრის აშენების ზრუნვას შეუპყრია ყველა მოაზროვნე ქართველი და ეს იყო მიზეზი, რომ 5—7 ღვიანი ბისთვის ქართ. კულტ. დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობამ თეატრის აშენებელ კომიტეტისათვის საჭიროა კაცნიც დასახელა.

დიად, დასახელა და მათი არჩევა-დამტკიცება მიანდა ქართ. დრამ. საზოგადოების კრებას, რომელიც მომავალ კვირას უნდა შესდგეს.

ამ კომიტეტმა უნდა გამოიხატოს მთელი ჩვენი ქვეყნის ნება-სურვილი, მოუყაროს თავი ყოველგვარ შემოწირულებას, დრომდე ხელუხლებლად შეინახოს, ჰზარდას და, ალბად, იგივე უნდა შეუდგეს სათეატრო ადგილის გამოძებნასა და თეატრის აშენებას. ჯერ კი უმთავრესად ფულის შეკრებაა საჭირო..

ფულის შეკრება არა მხოლოდ მდიდართა ანუ თავ-აზნაურთა შორის, არამედ მთელ საქართველოში, ყოველ სოფელში, ყოველ ქართველისგან... ჩვენთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ქართული ეროვნული თეატრის ასაშენებლად ყოველმა ქართველმა მოიტანოს თითო აგური მაინც, ვიდრე ერთმა და ორმა შესწიროს თანხა და ამითი გათავდეს საქმე.

მართალია 5—7 ღვიანობისთვის კრებაზე ზევინდან დასახელეს კომიტეტის კანდიდატი, რომელთა კეთილსინდისიერებასა და ავტორიტეტში ექვიც არ შეგვეპარება, მაგრამ შეიძლება ბევრმა მათგანმა, სხვა საქმეებით დატვირთულმა, ან არ იკისროს კომიტეტის წევრობა, ან თვის სურვილის წინააღმდეგ არჩეულმა, კომიტეტის წევრის სახელი ატაროს, ხოლო კომიტეტში კი ვერ იმუშაოს მოუცლულობისა გამო, როგორც ეს სჩვევია ბევრ ჩვენს საზოგადო დაწესებულებაში წევრთ. თეატრი ცოცხალი საქმეა: თუ წინ არ მიმოძრაობს—სიკვდილი მოელის, მის ასაგებად ფულის შეკრება უფრო მეტს სიფხიზლეს, მუდმივ მუშაობას თხოულობს და ამიტომაც საჭიროა მის სათავეში მოსაქმე, მოძრავი ხალხი ჩაეყენოთ, რომელიც ჩვენის ქვეყნის ყოველ კუთხეში გააბავს ქსელს, და არა მოღლილი ანუ სხვა საქმით დატვირთული...

მომავალ ქართულ თეატრში უნდა გამოისახოს მთელი ქართველი ხალხის სულისკვეთება, მთელი მისი ჰენია და ამიტომ მის აშენების საქმეც მხოლოდ ერთს რომელსამე წოდებას, ერთ წრეს ანუ ჯგუფს არ უნდა ეინდოს..

ამიტომ მოუწოდებთ ყველას, ვისაც საშობლო თეატრი ცოტაოდენ ღირებულებად მაინც მიაჩნია, დაესწიროს დრამ. საზ. კრებას (გადამწყვეტი ხმისთვის საჭიროა საწევრო 3 მან. გადახდილი ჰქონდეს) და, თუ 5—7 ღვიანობისთვის დასახლებული პირნი უარს იტყვიან, შესაფერი კაცების არჩევა-დამტკიცებას შეუწყოს ხელი...

სასურველია, ამ კრებას დაესწინენ ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა კუთხის (პროვინციელ) კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელნიც. სათათბირო ხმით მაინც.

კიდევ ერთი კვირა გვიძევს წინ და ამ თავითვე მოვიფიქროთ, ავწონ-დავწონოთ, ვის მივიანდოთ ქართული თეატრის აშენების საქმე.



### ნ ა ხ ნ ო გ ი

უნუგეშო და ღონე მიხილი,  
მუდამ მწყურვალი, მუდამ მშვიერი,  
დავეხეტები ნაცნობ ქუჩებში  
და ნალევნაჩვე სიმღერას ვმღერი.

არავინ ისმენთ, არც არავინ გრძობთ  
ჩემს ღრმა ვაებას, ჩემს საგალობელს;  
თვალებს მარიდებთ, თითქოს ვეღარ მცნობთ,  
ლუკმაზე ზრუნვით სიკოცხლის მგმობელს.

ნურც მღირსება ეგ თანაგრძობა! ..  
და თუ თქვენ შორის მოვეცდე მშვიერი, —  
მაშინ დავებშოთ მართლა ეგ ცნობა,  
რომ ვეღარ ვეცნოთ ჩემი იერი.

### ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი

— ყველაზე უმშვენეირესი, ყოველისფერ-  
ზე უტუბესი ცხოვრებაში სიყვარულია. სიყვა-  
რული რომ არ იყოს, აღამიანის ცხოვრება  
მეტად უგემური და უფერული, მეთად მოსა-  
წყენი იქნებოდა! ეუბნებოდა მიშა თინას.  
ხელი წელზე შამოხვია, დრო-და-დრო თვა-  
ლებში ჩაანერგებოდა და შემდეგ ტუჩებში  
ჩაეკონებოდა.

სიყვარულით სავსე თვალებით შეჩერებო-  
და მას ნინა და გულზე ეკროდა, თითქოს  
უნდა შეუსისხლხორცდეს მიშას, რომ ორივეს  
ერთი სხეული ჰქონდეს, ერთი არსებაო.

ახალი ჯვარდაწერილი იყვნენ: სიყვარუ-  
ლით შეირთეს ერთმანეთი და ახლა ორივე  
უხომო ნეტარებას განიცდიდა.

— სრულებით არაფერი რომ არ იყოს  
ცხოვრებაში, სრულებით არაფერა, მხოლოდ  
სიყვარულისათვის ღირს სიკოცხლე, რადგა-  
ნაც სიყვარული ყველაფერია. წარმოსთქვა  
მიშამ.

— მაშაკაცებს დიდი სარბიელი გაქვთ  
ცხოვრებაში, ჩვენნი ერთადერთი სარბიელი  
თითქმის ოჯახია თქვენ შეიძლება ისეთმა  
საქმემ მიგიზილოთ, გაგიტაცოთ, რომ სიყვა-  
რული კიდევ დავგიწყდეთ, უმისოდ გას-

ძლოთ; ჩვენკი, ქალებს, სიყვარულზე ძლიერი  
გრძნობა არ გავგანია. ის მთელს ჩვენს არ-  
სებას ავსებს. უსიყვარულოდ ჩვენ სიკოც-  
ხლის მთავარ ძარღვს მოკლებულნი ვართ.  
ეუბნებოდა ნინა.

— სიყვარული ღირსია, რომ იმისთვის  
აღამიანმა იკოცხლოს, უკვდავება ბედნიე-  
რება, სრული კმაყოფილება სიყვარულშია  
ამბობდა მიშა და ნინას მაგრად იკრავდა  
გულში.

— როდესაც წარმოვიდგენ, თუ რა ღი-  
დი, უზომო, უსაზღვრო ბედნიერებაა სიყვა-  
რული, ვფიქრობ რა უნუგეშო უნდა იყოს  
იმათი ცხოვრება, განსაკუთრებით იმ ქალე-  
ბისა, რომლებსაც არასოდეს არ გამოუცდიათ  
ღრმა, ძლიერი სიყვარული. წარმოსთქვა  
ნინამ.

— ყოველივე დიადი, უაღრესი, მიუწლო-  
მელი მხოლოც ცალია. ქრისტიანობამ მით  
დაამარცხა წარმართობა, რომ მრავალ ღმერ-  
თებს ერთი უსრულესი ღმერთი დაუპირდა-  
პირა. ძლიერი სიყვარულიც მარტო ერთია;  
ამ სიყვარულს აღამიანი თავის სიკოცხლემს  
მხოლოდ ერთხელ განიცდის.

— მეცა მგონია, რომ ძლიერი, ქეშმარი-  
ტი სიყვარული მხოლოდ ერთხელ შეიძლება

— როდესაც ირწმუნებიან: არა, მეორე-  
თაც შეიძლება ნამდვილი, ღრმა სიყვარული,  
მესამეთაც, ეს დიდი შეცდოზაა, ფსიხოლო-  
გიური შეუძლებლობა. თუ პირველი იყო  
ღრმა სიყვარული, მეორე და მესამე შეუძლე-  
ბელია. თუ მეორეა ან მესამე ღრმა სიყვა-  
რული, მაშინ პირველი არა ყოფილა. ხში-  
რად წუთიერი გატაცება სიყვარულად მიაჩ-  
ნიათ. სიყვარული უკვდავი, სამარადისო გრ-  
ძნობაა და წუთიერ გატაცებასთან მას  
არავითარი კავშირი არა აქვს აღამიანი  
ერთხელ იბადება, მხოლოდ ერთხელ განიც-  
დის ქეშმარიტ, ღრმა სიყვარულს.

— როცა შენ გიყურებ, მიშა, ასე მგო-  
ნია, მუდამ, ყოველთვის მიყვარდი, მაშინაცკი,  
როცა არ მენახე, არ გიცნობდი. მე ვეღარ  
წარმომიდგენია ჩემს ცხოვრებაში ვერც ერ-  
თი წამი, როცა შენ არ მყვარებოდე.

— მე მრწამს, რომ მე და შენი სიყვარული  
ჩვენზედ აღრე იყო. სანამდის მე და შენ და-

ვიბადებოდით, ის არსებობდა. საღ ან როგორის სახით, არ ვიცი; მაგრამ მრწამსს. ღრმად მრწამსს, არსებობდა და თავის გამოხატვას, გამოაშკარებას, დაბადებას ელოდა.

ღვლები ვარბოდნენ, თვეები ერთი-მეორეს მისდევდნენ. ახალგაზრდა ცოლქართა ნეტარებას არაფერი არღვევდა.

როდესაც ნინამ იგრძნო, რომ სხეულში ახალი არსება გაუჩნდა, მისმა ბედნიერებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია.

—მე დედა შევიქმნები, დედა! ღმერთო, რა ბედნიერებაა! მე მგონია, ყოველივე ეს სიზმარია მხოლოდ, მხოლოდ ოცნება.

მან გაუზიარა თავისი სიხარული მისას. მისას სახე გაუბრწყინდა.

—როდესაც ჰხედდა, რომ მამა ხარ, როდესაც საკუთარ სისხლსა და ხორცს უყურებ და ის ინძრევა, ქსლოპინებს, ილიმება, დიდი ბედნიერებაა! ეუბნებოდა მიშა ცოლს.

ბედნიერი ცოლი და ქმარი ხშირად მთელი საღამო ისხდნენ და ბავშვს სახელს ურჩევდნენ.

—თუ გოგო იქნა, თამარა დავარქვათ. ამბობდა ნინა.

—თამარა მეტად გავრცელებული სახელია. ქეთუშა ჯობია.

—არა, ქეთევანი რა სახელია, თამარა უმჯობესია!

—ძალიან კარგი. მხოლოდ თუ ბიჭი იქნა, შალვა დავარქვათ.

—არა, არა, ზურა ჯობია! იყო ერთი კამათი იმის შესახებ, ზურა ჯობდა თუ შალვა სახელად.

სულწასული ელოდნენ ბავშვის დაბადებას. ქალი დაიბადა.

ნინას ძალიან უნდოდა, ბავში თავისი ძუძუთი გაეზარდა, მაგრამ ერთობ დასუსტდა და ვერ შესძლო.

ძიძა მოიყვანეს.

ნინა წაჰოლდა ლოგინიდან, მაგრამ ვეღარ მოჯობინდა. ღრო-და-ღრო ტანში აქრიალებდა, უმადლო იყო, ხელფეხი უფოლიანდებოდა, აქა-იქ ახველებდა, თანდათან ხლებოდა, ყვითლდებოდა.



მსახიობი ქალი ნინო დავითაშვილი

ქეთაისის დრამატულ დასში მიწვეული.

მოწვეულმა ექიმმა თავი ჩაიქნია და კონსილიუმი დანიშნა.

—თქვენს ცოლს ფილტვების ქლექი აქვს დაწყებული. აუწყა კონსილიუმმა მისას. სამართალში რომ ჰყოფილიყო მიცემული და სიკვდილით დასჯა გადაწყვიტათ, ეს ამაზე უფრო ძლიერ არ იმოქმედებდა მისაზე მთელ მის მოამავალს, მთელ მის ცხოვრებას შავი ზეწარი გადაეფარა.

—გადამირჩინეთ როგორმე ჩემი ნინა, გადამირჩინეთ!—თვალცრემლიანი ეხვეწებოდა ის ექიმებს: უმისოდ ცხოვრება არ შემიძლია. ნუ დამზოგავთ. ქვეყნის ვალს ვიკისრებ, ოღონდ ეგ მომირჩინეთ.

ექიმები ჩუმად უსმენდნენ, რადგანაც ამ შემთხვევაში თავის სრულ უძღურებას გრძნობდნენ.

—ღმერთო, ნუ თუ ნინა უნდა მომიკვდეს, ნუ თუ ნინა აღარ მეყოლება? წამოიძახებდა ის, როცა მეორე ოთახში გავიღოდა, გიყვიეთ დაიწყებდა სიარულს და სიმწრით თმას იგლეჯდა.

კონსილიუმს კონსილიუმზე ნიშნავდა. ავადმყოფობაც შეუჩერებლად განაგრძობდა თავის საქმეს.

სადაც კი ურჩიეს ექიმებმა, მიშამ ყველგან წაიყვანა ცოლი—ზღვაზე, მთაზე,—მაგრამ ყოველივემ უქმად, უნაყოფოდ ჩაიარა.

(დასასრული იქნება)

ვ. კეჩიქიანი

# მ ო ხ ი რ ხ ე ზ უ ლ ი ღ რ ო

ჩვენი ისტორიული სიღი ისეთია, რომ მიუღამ ვაშის განსხვავებული კარსე გეგმას და მწესურებას, ვაი და ვიმი გაუთავებულა. კიდე-ვანც ვსტირით, ვსტირით, დაუბოლოებელი და რაც შეეძო დრო გადის, მით უფრო სისწრა-ვეთილებში ვვარდებით, გონება გვეფანტება, ენერჯია დუნდება და ხასიათი ირუკნება.

გაზეუბებში განსაკუთრებული ადგილია მიხეილი „ქართული თეატრის გარეშე“, რომელიც რაღაც სამგლოვანო ფურცელს წარმოადგენს და სი-დაც ერთმანეთს ვეჭვობებით მოთქმისში, წუწუნ-ში, ტირილში. რა თქმა უნდა, საშინელი დან-კლისია ქართული თეატრის განდგურება, მაგ-რამ ნუ თუ დღეს, როდესაც უნდა სწევაბოდეც თვით ჩუფინა არ ჩუფინა სკაიბსა მთელი ქართული ერისა, როდესაც კარს ისეთი დრო მოგვდგომია, რომლის მსგავსი არასოდეს გაშე-არდება, არა თუ მთელი ქვეყნიერებასთვის, არამედ ისეთ პატარა ერთსთვისაც, როგორც ჩვენი ვართ, მხოლოდ ამ ერთმა ნიუთიერმა და-ნაკლისმა უნდა დაჩრდილოს ამ დიდა მომენ-ტის შინაშეგლობის შეტება და მისთვის ვე-ანასა და მწესურებას მოვანდომით ერის მთელი ენერჯია!

ნუ თუ მართლათაც იმდენად დაუძღურებუ-და სულოერადაც ქართველი ერი, რომ რაღაც ნახეგარი მიდობის, თუნდაც ერთი მიდობის, სარაღმა აგრე თავსარი დაკუცენს და იგი „ერთგუნდ უბედურებად“ დავსახოთ!

შეიძლება მაგალითი უდაგილო იყოს, მაგ-რამ მე ვინცოთ ერთს ადამიანს, რომელსაც სწორედ ამ დროებით, თითქმის ამასე შეეძო ზარალი მოუვიდა, თითქმის მთელი მისი ქო-ნება დამსხვრა, მაგრამ მისიც იმედით შესტქე-რის თავის მომავალს და ოდნავადც არ შემე-რეკა მისი ენერჯია და ნუ თუ „ქართული ერი“, მთელი საქართველო უნდა გასტეხოს თეატრის დეწესი!

ერთობ გადაჭარბება არ ვარცა! სირცხვი-ლია!

„ხელოვნების ტაძარი დიდუბა“, „სამშობ-ლის კერა დიქცა“, „ერთგუნდული უბედურება დეგეტრადს“ და სხ. და სხ. ამ გვარს საშინე-ლებას გვაწვდის ჩვენი ზრეხა და კერძო პირნიც,

მაგრამ სწორედ დანაშაულობას ერის წინაშე ასეთი სულმოკლეობა. ხომ სდგება სხვა და სხვა კომისიები, ორგანიზაციები, მობის კერ-ძო პირთაგან შემოქმედებლებს და ჩვენც სწორედ სრული სიბინჯით, აუღეველები ამ მხარეს უნდა მივაქციოთ ყურადღება.

დიდი ხნის უნდა მიმხვდარბივით, აქამ-დისაც უნდა გვეთქმარ და მოგვეწყო, დეგვარ-სება „ერთგუნდული ფონდი“, სიდაც უოველს ქართველს შეიძლება სიდაც გავრად, თავის შემო-სავლის კვლობასზე, როგორც სხელმწიფო ბეგარს, წლიდან წლამდე შეეტანა თვისი წვლილი და დეე, ამ უბედურებაში მინც მაგვასხედროს და თუ კი გარეშე პირთებით ეს შესიძლება, შექქინთ ორგანიზაციები, ან უვეთისა არსებულ-მა ორგანიზაციებმა: კ. გ. სისოგადობამ და განუფილებებმა, ბანკებმა, ადგილობრივმა ინტელიგენტურმა ჯგუფებმა მოაწესრიგოს, მი-იზიდოს სამოქმედოთ ამგვარ ორგანიზაციების გარეშე მდგარი სხელი ძალები და თუ ამ საქ-მეს რიგინად გაუძღვებით, სიმი-თხისა წაის განმავლობაში დაარსდება „ერთგუნდული ფონდი“ ო-სხვარ და ხუთჯერ იმასე შეეძო, რაც სხვა ზარალი მოგვავიდა.

სამგლოვანო ბარათებს, მოთქმისა და ზარს კი თავი დავახებოთ, სირცხვლია. არც თუ ისეთი უმარბივით თანხა სიქირო თეატრის შენობისათვის, თუ საქმეს უფრო ცლონით და ფთხილად მოგვიადებით, ვიძრე იმ სთეატ-რო შენობის აშენებისა და განახლების დროს ვეკიდებოდათ, რადგანც სთეატრო ხელოვნე-ბის სიდადე და მისი შინაშეგლობა რაღაც ჩვეულებრივ შენობაში კი არ მდგომარობს, არამედ თვით სისტეო ხელოვნების სიდადეში.

არსად თეატრის შენობებმა არაფერს გასა-ოცარს არ წარმოადგენს; სიამსტრო თეატრს მაგალითად მოსკოვში სულაც ვერ შეამჩნევთ, მაგრამ თვით სიამსტრო თეატრი კი მთელი ქვეყნიერების უოველ კუთხიდანაც მოსიანს.

დეე, ქართული თეატრის შენობის ცეცხ-ლით განდგურება სისწავლებრივ მოამსწავებელი იყოს ამისა, რომ ქართველი ერი იმ ცეცხლის აღში განწმენდილი დიქციებს სხელს ცხოვრებას.

დემ, ეს საშინელი ტეტხლის ალი იმის მომასწავებელი იყო, რომ ფერფლთაგან იმ ნანგრევებზე ახლანი თვალწარმტანნი სრა-ვალატნი გაქვნიდებან. გაღაჭანებუბა უბედურებისა-კა არ ვაგტ! კმარა ტირილი! სირცხვილია!

**ს. დალიანი.**

**სული სწუხს!**

(ბაირონიდან)

სული სწუხს! ჩქარა, ჩქარა, მგოსანო! პა, ოქროს ჩანგი, მოჰკიდე ხელი; დაჰკა მის სიმებს, რომ შემასმინო ხმა სამოთხისა, გულის დამწველი!..  
და თუ შეგებდმა მთლად არ წარბაცა იმედის სხივი ნუგეში ჩემი,—  
კვლავ გაიღვიძებს და ჩემთა თვალთაც წასკდებათ ცრემლი — შევების მომცემი!..  
ვითა გვირგვინი ჩემის დიდების, ისევე მზარავს ხმა მზიარული...  
მგოსანო, სევდის ჰანგი მასმინე, მიწველე, თორემ გიპო გული!..  
იგი არავის არას უმხებდა, სღუმდა—ღუმლიმა მოუკლა ძალა— და მარად მკერდ-ქვეშ იტუნებოდლა ვით სასიკვდილო შხამის ფილა!...

**ბ. ახოსპირელი**

**მ კ ი ე, ს უ ლ მ ე..**

(საძიებელ ღვთაებას)

...სად, სად გიპოვო?!  
სადილისპირო ბოღიაში შენ სახელს გამოსთქვამენ მთრთოლვარე ტუჩები... გული და გრძნობა შენს ლოცვა-ღაღადისში იღვეიან...  
ნეტა იცოდე, თუ რა რიგ გიხმობენ!..  
სულს შენი სიკოცხლით სავსე ნეტარება-ბედნიერების ხატება ელანდება...  
ნუ თუ, ჩემი სულის ღაღადისი — შენის ხილვისა უნდა დარჩეს ზნულადღებლისად უღაზნოსა შინაჲ?!  
ზღვის მყინვარე მღელვარებაში ვგრძნობ შენ სიკოცხლს, შენს გარღუვალობა-უკვდებას!..

შენ, რომელიც აღმოცენდი ჩემის წარმოდგენით, უძილოდ ვატარებულ დამებების ლოცვებში, — ჩანთქე ჩემი სულის სიმწველენურწარწველობა!..

შენ ქარი ხარ, — აბობოქრებულ ოკეანის ტალღათ სრიალისგან შობილი, რომელმაც სფეროს სივრცეში გაანიავე ველურ სულის ღაღადისი... და სივრცის დუმოლის ასმენ ყრულ ამოძახილ — ჩემ გულის კენესას!..

შენ მოჰფინე მთელ სამყაროს ველურ სულის ღაღადისი და გულის კენესა ჩაქუხის ქეითინს შეუერთე. თვით ცხოველმყოფელ მხეს აახელ...  
მაგრამ პასუხი-კი ვერ მაღირსე!..  
ნეტა თუ, ოღესმე ვინც მელირსება?!

თუ არ ხარ, ჩემი სულის ღმერთა, მაშ რად ვლოცულობ დამზობილი შენ ფერხთ წინაშე?.. როს განისვენებ ოცნების ასულთ, ნეტარის ძლით, ზღვის სარეცელზე?..

ახ! რომ იცოდე, რა რიგად მსურს შენ ფერხთ ვემთხვიო... ღიმილი შენი გავიზიარო... შენი მარადიულ სუნთქვით ვისუნთქო... შენი სიკოცხლით ვიკოცხლო — ვინეტარო!..

თუ ნანახი არა მყევხარ, მაშ რად დამგებ?.. ბუნდოვანად შენი სხეული რად მებატება ჰე, სულის ღანდო!..

— აღთქმულ ქვეყნის ასულო, სიზმრად ხმობილო, ცხად სიზმარში შობილო — ჩემი სულის დობილო... გვგონებ სიზმრად გიხილე!..

... რომ არ ვიცი ვადაწყვეტით, რა, რა გიწოლო?!..

ვიცი; უნდა გეპოო... მაგრამ, რომ არ ვიცი დანამდილეზით სად, სად გეპოო?... ან სით მოგიხმო?!..

რა ჟამს მოხვალ, — სად და როგორ?.. — საღამოს, შუალამისას თუ განთიადს?..

ოჰ! ეს კი დანამდილეზით ვიცი, რომ განთიადს მოხვალ — ჩემი სულის განთიადს, შენით მასაზრდოვებით და ვსაზრდოებ შენით, — სულო ჩემო! . . .

... სულო ჩემო!..

რად ჩამაყურყუმელავე სევდის მორეწვი?.. რად დიკარგე მშვიდობა და რად დიძვიდრე სამარადისო მოუსვენრობა — «რალაცის» ძიება?.. რად მისჩერებხარ შემოდგომის გაცრეცილ ცის ტატნობს?.. რად უსმენ ზღვის ტალღათტყკრილის?.. ვის უყვი მთვარიან ღამეს მთის მწვერვალზე?..

რას ელი, რას?.. სულო ჩემო?!..  
ემიე სულო — ძიების მონავ!

**ვ. ალუღიშვილი**





მსახიობი ვასო არაბიძე

ქართ. დრამ. სახ. დასში მიწვეული.

## წოვისა გავგან ჩხრილავს...

ანუ როგორ ვითაზაზე მე  
ფრანც მოორის როლი  
(ნაამბობა)

უცნაური ხალხი ვართ ჩვენ, ქართველები! სრულიად არ ვიცით ნამდვილი ნიქის ცნობა: ზოგჯერ ისეთ უნიკო ადამიანს ავიყვანთ ხოლმე ცამდე, რომელიც პოეტათაც არ გამოდგება, და, პირიქით, უტყუარ ღვთიურ ცეცხლით აგზნებული კაცი კი ხშირად იმ მდგომარეობამდე მიგყავს, რომ იძულებული ხდება ბოლოს აფთიაქის მოწაფედ ჩაეწეროს. მაგალითი გნებავთ? აი, თუნდა—მე და ლადო მესხივილი. თქვენ რომ კაცმა გკითხოთ, ლადო მესხივილი ჩემზე ნიქიერი მსახიობია და იმისი ფრანც მოორი ჩემსა ზევად სჯობია. მერე გინახივართ კი მე ფრანც მოორის როლში? არა! მაშე ყური დამიდგეთ და გაამბობთ...

მართალია, მაშინ მე 16 წლისა ვიყავ და გიმნაზიის მესამე კლასში ვახლდით, მაგრამ ამ გარემოებას თქვენ ყურადღებას ნუ მიჰქცევთ: განა ცოტაა ჩვენში 13-14 წლის პოეტი, შენს 70 წლის აკაკის რომ 70-ჯერ

სჯობია? იმდენი წელიწადი თქვენც გასძელით და მეც... მაგრამ მე არა: ჩემისთანა უბედურ კაცს რათ უნდა ხანგრძლივი სიცოცხლე?.. იმდენი წელიწადი თქვენ გასძელით, რამდენი ასეთი პოეტი ჩვენს საქართველოში იყოს!..

ღიად, 16 წლისა ძლივს ვიქნებოდი, ლადო მესხივილი რომ პირველად ვნახე ფრანც მოორის როლში. მართალი უნდა მოგახსენოთ, არა უშავდა-რა, გვარიანად თამაშობდა, მომეწონა კიდევ ალაგ-ალაგ, მომეწონა, მაგრამ არ დამაკმაყოფილა. იმ დროსვე ვგრძნობდი კიდევ რომ სასცენო ნიქით ზეგარდმოცხებული ვიყავ, და ამიტომ ვათავდა თუ არა წარმოდგენა, ამოვიღე უბის წიგნი და ჩავწერე: „мне тоже надо поиграть этого роль“...

ეს კი უნდა იცოდეთ, რომ რაც ჩემს უბის წიგნში ჩაიწერება — კანონია: უნდა შესრულდეს კიდევ!

შემთხვევაც ადრე მომეცა: გავათავე თუ არა ვგზამენები... თუმცა, უკაცრავად. მე კი არ გავათავე ვგზამენები, ვგზამენებმა გამათავეს მე, რადგანაც მეოთხე წელიწადს აღარ დაპტოვეს იმავე კლასში და გიმნაზიიდან გამომრიცხეს. ასეთია ნიქიერ კაცის ხვედრი! ხომ მოგეხსენებათ, რომ ყველა გენიოსები გიმნაზიიდან გამოდებულნი არიან!

ახლა, ამ ჩვენ დროში, მესამე და მეოთხე კლასებიდან გამომრიცხულთ მეტად ფართე სარბიელი ეშოვებათ წინ: მათ შეუძლიათ ლექტორობა, პუბლიცისტობა, პოეტობა, მხატვრობა, არტისტობა და სხვა მრავალი ხელობა აირჩიონ. მაშინ კი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ეგრე რთული და წინაასული არ იყო, და გიმნაზიის დაბალ კლასიდან გამომრიცხვა მხოლოდ იმის უტყუარი ნიშანი იყო, რომ გამომრიცხულ ქაბუკს დიდი სასცენო ნიქი ჰქონდა...

ამისდაგვარად ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ მე სცენისთვის ვიყავ დაბადებული და დაუყოვნებლივ შევეუდექე ზეგარდმო მოწოდებისამებრ მუშაობას. ვადავწყვიტე ბათომის სცენა ამერჩია ასპარეზად. რატომ ბათომის და არა ქუთაისის ან თბილისისო, იკითხავთ თქვენ? იმიტომ, რომ ბათომში მე მყავდა ჩემი ნესტან-დარეჯანი, რომელსაც ჯერ



**მსახიობი ი. ივანიძე**

...ბატონებო, რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი?.. თუ ხალხი არ მოდის ჩვენთან, ჩვენ მივიღეთ მასთან!..

კიდევ მოსამზადებელ კლასში მივე პატროსანი სიტყვა კოლათ უერთვისა, და მინდოდა პირველ გამოსვლისთანავე ენახ სცენაზე ნესტანს მისთვის სტუმლ. შეუშროვებლი ტარიელ.

უპირველეს ყოვლისა სასცენო გვარი მოვიგონე: დავირქე „საღონ როსიშვილი“... პირველი წარმოდგენისათვის, რა თქმა უნდა შილდერის „ყაჩაღები“ გამოავაცხადე; ვინაიდან ამ ტრაგედიაში მე მარტო ფრანცის როლი მაინტერესებდა, ავიღე მხოლოდ შეხუთე მოქმედება და შევეკეთე ისე, რომ ვერაგი ფრანცის სახე ნათლად დამდგარიყო მაყურებელთა წინაშე: ამოვკრიბე წინა მოქმედებებში საუკეთესო ადგილები, როგორცაა, მაგალითად—მამის დანჩაობის სცენა, ის სცენა, როცა ამალია ფრანც მოოროს სილას გარტყამს და ხმაღს წაართმევს ქარქაშიდან, აგრეთვე რამდენიმე სხვა ადგილიც და კვლავ ეს კობტად ჩაურთე მეხუთე მოქმედებას.

ამით შილდერმა, რა თქმა უნდა, თუ მოიგო, თორემ არაფერი წაუგია!

დადგა წარმოდგენის საღამოც. გრიობი ჩინებული გამოვიდა. ეს იმიტომ, რომ პარკი არ გავიკეთე. რაც უნდა კარგათ გავიკეთოს მსახიობმა პარკი, მაინც ემჩნევა, რომ საკუთარი თმა არ არის. ესეც არ იყოს პარკის რომ იწებებ უზღბლზე და საფეთქლებზე; პირის კანს სქიშავს და მიმიკას უშლის. ამ მიზეზების მიხედვით ვარჩიე ისევე ჩემის თმით გამოსვლა. ავიღე წითელი მელანი, შევიღებე თმა და მოჩა. საკუთრივ ჩემ მიერ შექერილი მოკლე შარვალი და სა-

ღამური გრძელი პერანგი რომ ჩავიცვი და კუხისავითაც კარგა მოზრდილი ბაღში შევიტენე პერანგში მარცხენა ბეჭის ზემოთ, სარკეში ჩავხივლე: ნამდვილი ფრანც მოორო იდგა ჩემს წინაშე. თავის ჩამოსახარჩობი მოწყობილობაც, რა თქმა უნდა, მხად მქონდა. ამ მიზნისათვის წელზე შემოვიტყვი მსხვილი თოკი, გამოვსკვენი უკან და შემდეგ უკანვე პერანგის საყელოში ამოვიტანე; კისრის ხერხემალითან მარყუჯად...

დაჰკრეს მესამე ხარი და ვიგრძენი, რომ ამ სოფლიურ განცდას განევშორე, ჩემი საკუთარი სახე და ფსიხოლოგია გამიქრა და ფრანც მოოროად ვიქვეც.

ავიკოვლი მარცხენა ფეხზე და საზარელი ღრიალით შევევარი სცენაზე შევევარი თუ არა, პარტერიდან რაღაც უცნაური ხმაურობა მომესმა: თითქოს იცინოდნენ. სხვა რომ ყოფილიყო ჩემს ადგილას, იმ ხმაურობას მართლაც სიცილაღ მიღებდა, მაგ. მე კარგად ვიცი რომ ჩემი თავის ფასი: რა მქონდა სასაცილო? არ შევებუე იმ ხმაურობას უდა თამაში დავიწყე. ნამდვილი თავდავიწყება განვიცადე: აღარაფერი მახსოვდა გარდა ჩემის როლისა და არც არა მეყურებოდა რა. ისე ვიყავი გატაცებული, რომ მხოლოდ შუა თამაშში შევამჩნიე, რომ კუხი ჩამომეარდნოდა, ზედ თეძოზე მომქცოდა და მარცხენა ფეხის ძაგიერ, მარჯვენაზე დამეწყოა კოკლობა.

—მშმაციებებს, დანიე-ე-ე-ე! მშმაციებებს, ჩემო დანიე-ე-ე-ე!—ვიძახობდი მე და ვგრძნობდი, რომ მთელი ჩემი სხეული საშინლად კანკალებდა, ხტოდა და კუხიც საზარლათ ქანაობდა თეძოზე, თავისთვის.

შეუღარებელი ვიყავი იმ დროს! ეს მე ნამდვილად ვიცი, რადგან შემთხვევით თვალი მოვავლე პარტერს და დავინახე, რომ უმეტესობას ვეღარ აეტანა ჩემი ფრანცის საზარელ სახის ცქერა და ზურგი შეექცია სცენისათვის.

—ჯერ სადა ხართ?—ფეტიკობდი მე: თქვენ ბოლო ნახეთ, ბოლო! ნახეთ, როგორ ჩამოვიხრძო! თავი და გაუძელით საშინელ სურათს!

(დასასრული იქნება)

**თაგუნა**



ქართული დამწვარი თეატრი

# ქართული თეატრის დაწვის გამო

სოფლად ვიყავი. ქუთაისს რა ჩავედი და ქართული ეროვნული სიმღერის დაღუპვის ამბავი გავიგე, გავრინდი, ამოვიკენსე .. მაგრამ...

სხვა და სხვა ქირი ჩვენზედა...

კვლავ ახალი ქირი, ახალი განსაცდელი, ახალი ზარალი და დიდი ზარალი.

მას შემდეგ დღე ყოველ, ყველა გაზეთში ტირილი და გოდება:—

„დავიღუპეთ, დავივსეთ, დამიზო ფასდაუღებელი განძი, გავანადგურდით“... და მისთანები...

ნეტა ამ წუწუნით აღვადგენთ რასმე?

არ ახალია, ძველია.

მაგრამ ვის, როდის, რა აუგია და აუშენებია ტირილითა და წუწუნით?

ბაღლი, ღლაზი იტირებს, მას ხუხულას, გოჯილას აუშენებენ ერთი წამისას.

პალატ-დარბაზი და ეროვნული განქუელი ცრემლით არ ავვიშენდებო.

ყოველმა ქართველმა გაიღოს წვლილი თვისი, ვისაც რა ელონება და შეუძლია. სახელისათვის, დიდი საქმისთვის და ფენიქსისებერ განახლება და აღზღვება დაქუელი...

— სწორედ ბედნიერია შენი ძმა კოტე, რომ ამ უბედურობას არ მოესწრო —

ამ სიტყვებით ბევრი შემხვდა ქუთაისს ჩასვლისას ..

ვიცი კოტეს ძალიან უყვარდა აწ კეცხლის მსხვერპლად ქცეული თეატრი. ამაყობდა სასკოლადავი ჩემი ძმა ამ ეროვნული სიმღერით და მუდამ, როცა თბილისში მოვხვდებოდი, დამატარებდა ამ ეროვნულ ტამარს და მის სახეზე კმაყოფილება, სინარული იხატებოდა.

მაგრამ ასევე იქნებოდა ეს სიამაყე და სინარული მისთვის— ეცოცხლა და შესწრებოდა იმ დროს, ოდეს ქართველობა, ნაცვლად გოდება წუწუნისა, ბეჯითად და გულით შეუღებოდა დაქუელის აღდგენას...

და რომელმა ქართველმა არ იცოდა მისი ფასი?

ამ ფასის ცოდნაც ის იქნება, თუ...

ზღვა ცვარისგან შესდგება. მოვლავადეთ, თითო ცვარი თითოეულმა ქართველმა ყოველმა თავის წვლილი.

მეც ჩემს წვლილს, ვინაიდან სხვა სახსარი არ მაბაღია:— ყოველ წელს ჩემ-მიერ

გადმოკეთებულ თუ ნათარგმნ პიესებისა ჰონორარად რამდენიმე თუმანი, ორი ხან სამი მივდებო. მივანდობ თეატრი და ცხოვრებისა რედაქციას ამიერიდან აიღოს ეს ჰონორარი ეროვნული თეატრის ასაშენებელი ფონდისათვის

# ხელოვნება და სქესობრივი საბითხი

(გაგრძელება იხ. „მ. ლა ც.“ № 15)


ხელოვნების სახელით მორთვა ან დაფარვა ყოველგვარ გადაზნებულ ხე ვადადმოფურ ზიარ-ნორაფიისაც კი—ამას მე ზირღაზირ მხედურობას ვეძახი. მართალია, შეიძლება და მოვალენიც ვართ მხატვრულ ბუნებათ, რომელთა გრძობები შეტის-შეტად აფორიაქებული, სშირად ავად-მყოფურად აღგზნებულიც კი არის ხოლმე, ვა-ზატიით სქესობრივობის მხრივ მათი შესანიშნავი ნახტომები, როგორც აგრეთვე მათი დაუდგომ-ლობა, ჟინიანობა და სიუფარულში თავდაუტერ-ლობა: ეს მხატვრის კიდაფებით (ტემპერამენ-ტით) არის გამოწვეული. მაგრამ ზორნორაფი-ის სისტემპტიური განვტელება, აგრეთვე წმინ-და წულის სქესობრივ ორგეობისაც, რომელნიც საზოგადოებრივ ცხოვრებისკენ სსინრტხვოდ იკა-ფაემენ გზას, ამას არ ეკუთვინს. უველასზე ნაკ-ლებად შეიძლება უველა ამას ხელოვნების სახე-ლი უწოდდთ. მხატვრების ზირადი და ავადმუ-ფური სისუსტენი და მათი ექსტენტრობა (არა-ხეულეობრივი ქტეებები), რომელთა მსხვერპლადანც ხშირად თვითონვე სდებთან ხოლმე, თვითონ ხელოვნებასთან და მის ნაწარმოებთან არ უნდა იყოს არეული და, უოველ შემთხვევაში, ისინი სჯაროდ არ უნდა იუნენ ცხოვრების სასარგებ-ლოდ და ადათებად მიჩნეულნი.

მეორეს მხრივ, ხშირად მაჩქლამულ ერო-ტიზმს იქავ ზოულობთ, სადაც უველასზე ნაკლებ შეიძლება მოდოდინი გვექნიყო, სახელ-დობრ—ზოგაერთ საინოთან სამოდდერო წიგ-ნებში და, ეგრედ წოდებულ, ზრდილობიან რე-მანებში. იგი ექ მოქმედებს უკეთურად, თუმც ასაკ-დასული ქალწულები და კეთილმორწმუ-ნი ვაჯატორები ამ წიგნებს მოაბოვეებენ თავი-ანო წიგნ-სადავებისთვის და სხვეზსაც ურჩევენ როგორც საულისსმიერო წასაკითხს, როგორც უმ-ღე მოვიხსენიეთ, ზოგაერთი ამ ნაწარმოებთ-განი სქესობრივ წადილს უფრო მძლავრად და არა ბუნებრივად აღძრეს, ვიდრე ზოდას სახო-თირო სტენები და სხ.

ერთმა გონება მახვილმა ადამიანმა მართე-ბულად შეინშა: ჟტიტევეა ადალმას უზრდელო

